საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კურცხანა

კურცხანა, მდინარე ადიგენის მუნიციპალიტეტში, მესხეთის ქედის სამხრ. კალთაზე. სიგრძე 16 კმ, აუზის ფართ. 72,3 კმ^2. სათავეს იღებს ზ. დ. 2175 მ-ზე და ერთვის მდ. ოცხეს მარჯვ. მხრიდან. საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლებით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმცირობა – ზამთარსა და ზაფხულში, წყალმოვარდნა – შემოდგომაზე. საშ. წლ. ხარჯი შესართავთან 0,88 მ ^{3}/წმ.

ი. აფხაზავა